



თბილისის საქალაქო სასამართლო



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის

მემორანდუმი

ქ. თბილისი

18 აპრილი, 2013 წელი

ერთის მხრივ, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის დოქტორ ფარუქ გურსოის სახით და, მეორეს მხრივ, თბილისის საქალაქო სასამართლო წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, მამუკა ახვლედიანის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მემორანდუმის არსი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თანადგომით, ჩატარდება ლექცია-სემინარები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. პროექტის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან სასამართლო სისტემას, მოხდება მათი ინფორმირება მოქმედი კანონმდებლობის და მათთვის საინტერესო სამართლებრივი საკითხების თაობაზე. საშუალება მიეცემათ კვირაში ერთხელ დაესწრონ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესებს. ჩატარდება სტუდენტური ოლიმპიადა და გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესები. განხორციელდება იურიდიულ ფაკულტეტზე მოქმედი სამართლის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შერჩეული სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში მონაწილეობა.

2. პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია:

- 2.1. სტუდენტებისათვის სასამართლო სისტემის გაცნობა;
- 2.2. კანონმორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა;
- 2.3. სტუდენტთა ინფორმირება მოქმედი კანონმდებლობის თაობაზე, მიმართული მათი მხრიდან შემდგომი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის თავიდან აცილების მიზნით;
- 2.4. სტუდენტთა სამართლებრივი შეგნების ამაღლებაზე ზრუნვა მათი ასაკისა და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;
- 2.5. სტუდენტთა ინფორმირება მათთვის საინტერესო სამართლებრივი საკითხების თაობაზე;

2.6. მოსამართლეების მონაწილეობით მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება სამართლის მაგისტრის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასამართლო კლინიკის ფარგლებში.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

3.1. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

3.1.1. შეარჩევს და წარმოადგენს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს პროგრამაში მონაწილეობისათვის;

3.1.2. უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა ლექცია-სემინარების ჩატარებაში.

3.2. თბილისის საქალაქო სასამართლო:

3.2.1. შეარჩევს პედაგოგებს ლექცია-სემინარებისათვის;

3.2.2. უზრუნველყოფს სტუდენტთა სათანადო დახვედრას;

3.2.3. ჩაატარებს ლექცია-სემინარებს;

ლექცია სემინარის თემებია:

ა) სასამართლო ხელისუფლება - მოკლე ისტორიული ექსკურსი, სასამართლო ინსტანციები;

ბ) სასამართლო ხელისუფლება- არსებული მდგომარეობა;

გ) სასამართლო ხელისუფლება - განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები;

დ) სასამართლოს ხელისუფლების არსი და მიზნები;

ე) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, კანონმდებლობის მიდგომა და თავისებურებები მათ მიმართ;

ვ) საქართველოს კონსტიტუცია;

ზ) სახელმწიფო და სამართალი.

3.2.4. სტუმრებისათვის აწყოფს ექსკურსიას სასამართლოს შენობაში;

3.2.5. ორგანიზებას უწევს სტუდენტების დასწრებას სასამართლო პროცესებზე;

3.2.6. მონაწილეობს სასამართლო კლინიკის ფარგლებში მაგისტრატურის სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში და მათი შეფასების პროცესში;

3.2.7. ორგანიზებას უწევს სტუდენტურ სამართლებრივ ოლიმპიადას, იმიტირებულ სასამართლო პროცესებს;

3.2.8. სტაჟირების გამოცხადების შემთხვევაში შეატყობინებს იურიდიულ ფაკულტეტს.

4. მემორანდუმის მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები:

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის, მხოლოდ ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან;

4.2. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების პერიოდი განსაზღვრება 1 წლის ვადით;

4.3. მემორანდუმის მოქმედების დაწყების თარიღია 2012 წლის 10 დეკემბერი;

5. მემორანდუმის შეჩერება ან ვადამდე შეწყვეტა:

5.1. მემორანდუმის შეჩერება ან ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

6. მემორანდუმის დამატებითი პირობები:


6.1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. თითოეულ მხარეს მიეცემა მემორანდუმის თითო ეგზემპლარი.

6.2. წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე მუხლის (ან მისი ნაწილის) ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას.

6.3. საკითხები, რომლებიც წარმოიშობიან წინამდებარე მემორანდუმის მხარეებს შორის და რომელთა რეგულირებაც არ არის მოცემული მემორანდუმში, გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.4. მემორანდუმში ყველა ცვლილება და დამატება გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი



ფარუქ გურსოი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი, ასოცირებული პროფესორი

თბილისის საქალაქო სასამართლო



მამუკა ახვლედიანი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე